





### გამოსაშვები ღონისძიებები საზეიმოდ ჩატარდა



ადამიანის ცხოვრებაში ბევრი ისეთი რამ ხდება, რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებ და, რა ასაკშიც არ უნდა იყო, ის დრო ყოველთვის დაგამახსოვრდება, – კარგიც და ცუდიც. ჩვენი მომავალი თაობისათვის ეს ბოლო წლები მაინც სხვაგვარ მოგონებებს დატოვებს, რადგან მსოფლიო პანდემიამ ბევრი ისეთი რამ დაგვანახა, რომ მისი დავიწყება წარმოუდგენელია – ამ წლებმა კარჩაკეტილ ცხოვრებასაც კი მიგვაჩვია. სკოლებსა თუ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კი დიდხანს აღარ ისმოდა ბავშვთა ჟრიაშული, მასობრივი სპორ-

ტევებია, სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვლავ ჩვეული რიტმით წარმართა მუშაობა და 2020-2021 სასწავლო წელი, როგორც იტყვიან, წარმატებით დაამთავრეს. 15 და 22 ივნისს, ასპინძის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის N1 და N2 დაწესებულებებში გამოსაშვები ღონისძიებები საზეიმოდ აღნიშნეს – მრავალფეროვანი მუსიკალური ნომრებითა და სხვადასხვა ღონისძიებებით წარსდგნენ აღზრდელი მშობლებისა და მოწვეული სტუმრების წინაშე. დასასრულს კი პატარებს სამახსოვროდ გა-



ტული ღონისძიებები მინელდა და თითქოს ერთმანეთსაც დაგვაშორა. მიუხედავად ამისა კოვიდ-პანდემიასთან ცხოვრებასაც შევეჩვიეთ და რეგულაციების დაცვით, თითქოს, დიდი საფრთხეებიც ავიცილეთ თავიდან. დრო მკურნალიაო და ნელ-ნელა ყველაფერი კალაპოტში ჯდება. საბედნიეროდ, უკანასკნელი

დასცეს ბალის დამთავრების აღბოძრები და გადაუღეს სამახსოვრო სურათები. აღნიშნულ ღონისძიებებს ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე, კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ირაკლი ჯვარიძე და სხვ..

### მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს სასამელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ-

ლებში საყუდაბელში და საროში დაიწყო სასამელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში სოფელ საყუდაბელში განხორციელდება სასამელი წყლის რეზერვუარის და მაგისტრალის რეაბილიტაცია, ხოლო სოფელ საროში სასამელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ პერიოდში დასრულდება.

### იმედია მოსახლეობისათვის დიდი პრობლემა სამუდამოდ მოგვარდება



პრობლემაც არის და პრობლემაც გადასაწყვეტიც და... გადაწყვეტილიც, მაგრამ დაბა ასპინძის და ზოგიერთი სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ხარისხიანი წყალმომარაგება მაინც აქილევსის ქუსლად რჩება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ოთის წყალსადენის სათავე-ნაგებობის არასწორი და მიუღებელი პროექტით განხორციელებულმა მშენებლობამ და წყალშემკრები სისტემის ექსპლოატაციაში მიღებამ საფრთხის წინაშე დააყენა მომხმარებელთა ჯანმრთელობა, რაც არაერთი შემთხვევითაც დადასტურდა და მოსახლეობა ყოველთვის სამართლიან უკმაყოფილობას გამოთქვამს. უფრო მეტიც, ვინც ამ წყალმომარაგებით სარგებლობს, ხშირად უწევს სასამე-

ლი წყლის ყიდვა და ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს ეს პრობლემა. მუნიციპალიტეტის მერიის დიდი მცდელობის შედეგად, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მიღწეული იქნა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სოლიდური დაფინანსება გამოყო ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარების მიზნით, კერძოდ, – ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში: იდუმალაში, ოშორასა და ოთაში უკვე დაიწყო წყალმომარაგების სისტემის პროექტირება და, შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „კომფორტ-მშენ-XXI“ და მისი სახელმძღვანელო ღირებულება შეადგენს 6 850 000 ლარს.

### სადღესასწაულო ლიტურგია

20 ივნისს, სულთმოფენობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ასპინძის სულიწმინდის მშენებარე ტაძარში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ პირველი სადღესასწაულო ლიტურგია აღავლინა. სადღესასწაულო ლიტურგიას სასულიერო პირებთან ერთად მრევლი, სხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.



### გრძელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები



დაბა ასპინძაში დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს გურამიშვილისა და ერეკლე II-ის ქუჩების დამაკავშირებელი წყალგამტარი მილხიდისა და ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობის სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საგზაო სამშენებლო სამმართველო N2“. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს: მილხიდის, წყალგამტარი კვე-

თის და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობას, რომელიც 345 მეტრს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამ ათეულ წელზე მეტია, ეტაპობრივად მიმდინარეობს დაბა ასპინძაში – ციხის პირდაპირ, სასაფლაოს გზის მიმდებარედ, მოსახლეობის დაუდევრობით დამენყრილი ტერიტორიიდან, სიტუაციიდან გამომდინარე, არსებული მიწის გრუნტის გატანის სამუშაოები.



# ინტენსიურად მიმდინარეობს

ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგა ხანია ინფორმირებული არიან იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით დღითიდღე იერ-სახეს იცვლის ასპინძის მუნიციპალიტეტის როგორც დაბის ინფრასტრუქტურა, ასევე დასახლებული პუნქტები. ამ მიზნით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტების სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაში შევიდა.



ფელში შიდა გზების საყრდენი კედლების სრული რეაბილიტაცია.

სოფელ ოთაში ამჟამად მიმდინარეობს შიდა გზების საყრდენი კედლების რეაბილიტაცია.

აღნიშნულ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს იმ „ვალიკო ბერიძე“, რომლის სახელმძღვანელო ღირებულება 23 955 ლარს შეადგენს.

პროექტით გათვალისწინებულია სო-

## სასკოლო ცხოვრება

# სასწავლო წელი წარმატებით დავათავრეთ

წლის განმავლობაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის საქმიანობა მიმართული იყო, საჯარო სკოლების ყოველმხრივი დახმარებისა და მათ წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხოდ ორგანიზებული და ოპერატიული მოქმედებისაკენ. ესაა – კონსულტაციები კათედრებთან, პედაგოგებთან, დირექციების წარმომადგენლებთან, კონკურსებსა თუ პროგრამებში მონაწილეობის დაგეგმვა, ტრენინგების ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის სიახლეების გაცნობა, სხვადასხვა თვალსაჩინოების, ლიტერატურისა და მასალების გადაცემა...



პანდემიით შექმნილი ახალი რეალობის შესაბამისად შეიცვალა ჩვენი საქმიანობის ფორმა, თუმცა გამოწვევების საპასუხოდ გაიზარდა აქტივობა ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით.

პერიოდულად განხორციელებული მონიტორინგის მეშვეობით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პანდემიის პირობებში სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფას. ყველა სკოლაში ჩატარდა სრული სადღეინფექციო სამუშაოები. იმ სკოლებს, რომლებსაც სველი წერტილები შენობის გარეთ აქვთ, ინფრასტრუქტურის სააგენტომ უფასოდ გადასცა სადღეინფექციო ხსნარები.

ყველა სკოლა აღჭურვილი იყო პირბადეების საკმარისი მარაგით, დეზინფექციანტებით, თერმოსკრინინგისა და სანიტარულ-ჰიგიენური სამუშაოებს ჩატარებისათვის საჭირო საშუალებებით, რის შედეგადაც ყველა საჯარო სკოლა 2020-2021 სასწავლო წელი საკლასო ოთახებში დაამთავრა, მეორე სემესტრიდან არ ყოფილა როგორც დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის საჭიროება, ასევე პრობლემები პედაგოგებისა თუ მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით, არ გვეყავს სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი არცერთი მოსწავლე.

სასწავლო წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო დაბა ასპინძის, რუსთავის, და მალის, ზეგლის, ივერიის, ხიზაბავრის საჯარო სკოლების პედაგოგებისა და საბაზო და საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულთათვის, სადაც გვეყავს 13 ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობისა და პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციარობის 9 კანდიდატი.

ასევე, შეუფერხებლად ხორციელდებოდა საჯარო სკოლების მოსწავლეთა სასკოლო ტრანსპორტით მომსახურების პროგრამა. სულ მოქმედებს 14 მიმართულება პროგრამაში ჩართულ 11 საჯარო სკოლაში. პროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“

ჩართულია ხიზაბავრის, რუსთავის, ნაქაქაქის, ობორის, ივერიის, ტოლოშის საჯარო სკოლები. გუნდის მიერ ორგანიზებულ ვებინარებში მონაწილეობით საჯარო სკოლების მასწავლებლები მნიშვნელოვან ცოდნასა და გამოცდილებას იძენენ. ჩვენც, ჩვენის მხრივ, ვმონაწილეობთ „ახალი სკოლის მოდელის“ პროგრამის კოორდინატორების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში და ა.შ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ყურადღების ცენტრში კვლავ რჩება სკოლების ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხები: მთავრდება ორგანოს საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა; მუნიციპალიტეტის დაფინანსებით პროგრამით ნელს სრული რეაბილიტაცია ჩატარდება დაბა ასპინძისა და ოთის საჯარო სკოლებს; მერიის დაფინანსებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაო ჩატარდება ტოლოშის, დამალის, ზეგლის, ნაქაქაქის, აწყვილის საჯარო სკოლებში.

საკუთარი თანხებით მირაშხანის საჯარო სკოლა ახორციელებს საკლასო ოთახების მიშენებას, ჭობარეთის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი და სხვ. ტოლოშის, რუსთავისა და ივერიის საჯარო სკოლები საკუთარი სახსრებით ჩაატარებენ სამედიცინო კაბინეტების სარემონტო სამუშაოებს, რის შემდეგაც სსიპ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტო უზრუნველყოფს კაბინეტების აღჭურვას შესაბამისი ინვენტარითა და მოწყობილობით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სკოლებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის დონეს.

**ტრისტან მურადაშვილი,**  
ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

## საქმიანობა გვიჩვენებს

# ლობოს მოყვანის ტექნოლოგია



წყლის, საკვები ნივთიერების და ჰაერის ნორმალური რეჟიმი ლობოს მაღალი მოსავლის მიღების აუცილებელი და საუკეთესო პირობაა. ამიტომ ნიადაგი ლობოს ნათესის ქვეშ სულ უნდა იყოს ფხვიერი და სუფთა. დიდ ფართობებზე მიზანშეწონილია სარეველების წინააღმდეგ გამოყენებული იყოს ჰერბიციდები. ლობოს მორწყვის რეჟიმი დამოკიდებულია ნიადაგურ და კლიმატურ პირობებზე. გვალვის პირობებში პირველი მორწყვა შეიძლება ჩატარდეს აღმოცენებამდეც. ტენის ნაკლებობა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ყვავილობის პერიოდში და ინვესტ ყვავილების ცვენას. აუცილებელია რწყვა ჩატარდეს ასევე დაკოვრების პერიოდში. ე.წ. კუტ საადრეო ხოშებისათვის საკმარისია 3-4 მორწყვა, ხოლო საგვიანო ხვიარა ჯიშებისათვის 5-6-ჯერ და მეტჯერ.

საქართველოში ლობოს მთავარ მავნებლად ითვლება ლობოს მემარცვლია, რომელიც აზიანებს თესლს როგორც მინდორში, ისე საცავში. მემარცვლია გავრცელებულია თბილ კლიმატურ პირობებში. მემარცვლიას კვერცხიდან გამოჩეკილი მატლები იკვებება ლობოს მარცვლით. ხოჭო კვერცხს დებს მარცვალზე ან პარკზე – სამარცვლე ტომრებში. მემარცვლიას წინააღმდეგ საბრძოლველად რეკომენდირებულია თესლის ფუმიგაცია. მემარცვლიას მოსპობა თესლში აგრეთვე შესაძლებელია დაბალი და მაღალი ტემპერატურით. ლობოს თესლი უძლებს 50-600 ტემპერატურამდე გახურებას 1 საათის მანძილზე, ლობოს მემარცვლია კი ამ პირობებში სრულიად იღუპება. მინდვრის პირობებში მემარცვლიას წინააღმდეგ შესაძლებელია შენამვლა სხვა და სხვა ინსექტიციდებით სხვა და სხვა ფაზაში, ყვავილობის დაწყებამდე და დაპარკების დროს.

**ოლღა ბერიძე,**  
ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი.

## ფოლკლორი

ერთი კაცი ყოფილა და ექვსი შვილი ჰყოლია. ეს ექვსივე ავადმყოფები ყოფილან. ამდგარა ეს კაცი და უთქვამს: ქვეყანას შემოვივლი და ეგებ რამე წამალი გავიგოო, რომ მოვარჩინოო. მივა ერთ ალაგას და გაიგონებს ერთი ქალის ხმას, რომელიც სულ არ ჩერდება, არც დღე და არც ღამე. მღერის და მღერის. ეს კაცი ერთი კვირა დარჩება და უნდა გაიგოს, ვინ არის, რომ ასე მღერის. ჰოდა, ადგება და სახლში შევა ამ ქალთან ეს კაცი. შევა და ერთი აკვანი დგას და არწევს აკვანს ეს ქალი, თან მღერის. ამ ქალს შეეკითხება:  
– რა უდარდელი ხარ, რომ ასე სულ ზიხარ და მღერისხარო. მე კი დიდი დარდი მაქვს, ექვსი შვილი მყავს და ექვსივე ავადმყოფიაო.  
– მეც არა ვთქვი, რა დარდი გქონია. ექვსი გყავს და ხუთიც რომ მოგიკვდეს,

ერთი მანც დაგარჩებო. ახადე აკვანსო და უთხრა: – ნახე ჩემი ბავშვიო! ახდის და რას ხედავს, აკვანში წევს ბავშვი. გადაბმული ბავშვი. თვითონ ერთია და თავი ოთხი აქვს, ხელიც ოთხი, ფეხიც ოთხი. დარდი ეს არის, მაგრამ რა ვქნაო.

ორი ძმის ცოლები იქნებიან ძმის ოჯახში. ესენი ორივე ორსულად იქნებიან, დალოგინდებიან და ბიჭები ეყოლებათ. ერთი ადგება და ნახავს, მოკვდომია ბავშვი. მივა და ნახავს, რომ სძინავს ქალსა. ამ მკვდარ ბავშვს ჩაუწვენს და ცოცხალს ამოიყვანს და თვითონ წაიყვანს.  
დილით გამოიღვიძებს და ნახავს, შვილი მკვდარია. ჰოდა, იტყვის, – ჩემი არ არის ეს ბავშვიო.  
ეს ამბავი სასამართლომდე მივა. სასამართლო გადაწყვეტს: დასდებენ ბავშვს სასწორზე და დანას მოიტანენ და დიდ

ფიცარს. ბავშვი უნდა გასჭრან, მაგრამ ნამდვილი დედა იტყვის: არ გასჭრანო, ოღონდ ცოცხალი იყოს და იყოს მაგისო, მეორე კი იძახოდა – გასჭარიო! – მაშინ გამოიკვია, ვისი ყოფილიყო ეს ბავშვი.

კიდევ ორი რძლები ყოფილან, ერთი პატიოსანი იქნება და ხელეზბრუდე, ენაჭარტალაც, მეორე გლახა გზის იქნება, მაგრამ გულკეთილი იქნება.  
პირველი, რომელიც პატიოსანი და ბოროტია, ნავა ეკლესიაში. მეორეც ეტყვის: – მეც უნდა წამოვიდეთ. მერე ეტყვის: – რათ გინდა, კიდევ თხუთმეტი წამოიყვანეთ, შეგეწევა ღმერთო, – მასხარათ აიგდო.  
– რა გინდა, შენო, შენ შენი ცოდვა მონინიე და მეც ჩემსას მოვინანიებო.  
იმ ღამეს რომ უთევენ, პირველი დაიძინებს და ნახავს სიზმარში, რომ მკლა-

ვებს ქვემოთ სულ დამწვარი ნახშირით არის და მეორეს კი ხელები აყვავებული აქვს. გაიღვიძებს და გაბოროტებული ფიქრობს: – მე ესეთი პატიოსანი ვარ და ვარდი ნახშირად მქცევია, ეს უპატიოსნო კი...

კიდევ დაიძინებს. სამჯერ დაიძინებს და სამჯერვე ამავეს ნახავს. ადგება ეს ქალი და ამ მღვდელს ეტყვის: – ეს რას ნიშნავსო?  
– ის აკეთებს თავისთვინაო, შენ კი ხალხისთვინაო აკეთებ ბოროტებასო. შენ ჯოჯოხეთში უნდა იყო, ეგ კი სამოთხეშიო. შენი ამბავი ცოდვაა და იმისი კი სირცხვილიო.

**მთქმელი მარტო თედორაძე, 55**  
წლის, ასპინძის რაიონის სოფ. თოკი. ჩაინერა მ.კოჭლავაშვილმა 1965 წელს.  
თსუ ფ. არქ. N3999



# არდავინცება

ნათელა ცისკარაძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე წარდგენა არ ჭირდება, როგორც ვახუშტი „ასპინძის“ რედაქტორს (სამსახურად ეს ვახუშტი რამდენიმე წელია ფინანსური პრობლემების გამო ველარ ფუნქციონირებს), რომელსაც, ხანდაზმულობის მიუხედავად, დღემდე არ შეუწყვეტია შემოქმედებითი საქმიანობა.

ქალბატონი ნათელა ჯავახეთის ერთ-ერთ ლამაზ და დიდი ისტორიის მქონე სოფელ გოგაშენში დაიბადა, უმაღლესი განათლებაც მიიღო და 50 წელზე მეტია ასპინძაში დაიმკვიდრა საცხოვრისი. იგი იმ დიდებული ოჯახის შვილია, რომლის მამა რაფიელი ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება იყო მთელ ჯავახეთში. მან, დიდი გაჭირვების მიუხედავად, ვაჟაკურად განვლო ეკლ-ბარდებით მოფენილი ურთულესი გზა და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ოჯახისა და მშობლიური კუთხის სიყვარულს მოახმარა, რითაც დაამტკიცა, რომ დაუღალავ, მიზანსწრაფულ შრომას ძალუძს ადამიანი სილატაკიდან გამოიყვანოს და ცხოვრების ნათელ გზაზე დააყენოს ისე, რომ მისაბაძი მავალითი ვახდეს მომავალი თაობებისათვის.

აქლიობა, – რამდენი ადამიანიცაა ქვეყნად, იმდენივე ინდივიდუალური ცხოვრებაა, იმდენივე ერთი ადამიანის ისტორიაა, იმდენივე დასაწერ-აღსაწერია თავისი მრავალფეროვნებითა თუ ეპიზოდებით. მთავარია, როგორ შეხედავ და რა კუთხით წარმოაჩენ მას.

ნათელა იმ მშობლის სული, რომელსაც დამფასებელ-მომგონებელი ჰყავს და მისი არდავინცებით, შთამომავლთა ძალუძთ, შეგვახსენონ – საიდან მოდიან და ვისი გორისანი არიან!

დიახ, ეს საოცრად დიდი მამაშვილური მისია იკისრა ქალბატონმა ნათელა ცისკარაძემ, რომელმაც სულ ახლახან თავის ერთგულ მკითხველს მოგონებების საინტერესო კრებული შესთავაზა – „ამის ცხოვრების გზებზე“, სადაც მთელი სიგრძე-სიგანით, საოცარი სიზუსტით, წარმოგვიდგინა თავისი საყვარელი მამის მიერ განვლილი ცხოვრება.

ეს წიგნი იმითაცაა საყურადღებო, რომ იგი რეალურად ასახავს გასული საუკუნის 30-60-იანი წლების მრავალრიცხოვანი, ძირძველი, ჩვეულებრივი ჯავახური ქართული ოჯახის იმდროინდელ ყოფა-ცხოვრებას. ქალბატონ ნათელას ისეთი ბევრი საყურადღებო ფაქტი აქვს აღწერილი, რომლის კითხვისას, შეუძლებელია ცრემლნარევი თანაგრძობა არ გამოიწვიოს შენში და მისი მამის მიმართ პატივისცემით არ განგანყოს. ეს კი ავტორის შემოქმედებითი ნიჭის გამოხატულებაა. აქვე ისიც უნდა ითქვას, – ჯავახეთით დაინტერესებულ ნებისმიერ მკვლევარს თამამად შეუძლია

გამოიყენოს ეს წიგნი, როგორც ძვირფასი წყარო-შასალა იმ პერიოდის ჯავახეთის ყოფა-ცხოვრებისა.

ქალბატონ ნათელა ცისკარაძის წიგნის საზოგადოების წინაშე წარდგენით კი გვსურს გამოვხატოთ ის ღრმა პატივისცემა მის მიმართ იმ დიდი მამაშვილური სიყვარულის გამო, რომელიც მან თავის ამ მეტად საინტერესო ნაშრომში ჩადო და არდავინცების შარავანდედით შემოსა რაფიელ ცისკარაძის ნათელი ხსოვნა.

აქვე გთავაზობთ ერთ თავს ქალბატონ ნათელა ცისკარაძის წიგნიდან „მამის ცხოვრების გზაზე“:

ავთიანდელ მესხი

## მოსწრებული ბიჭის საზრუნავი

გაზაფხული ახლოვდებოდა. პირველი გაზაფხული ათას საზრუნავს და ათას საფიქრალს უჩენდა ობოლ ბიჭს.

წყალი ჭირდა გოგაშენში. ხევის დაბლა, ქარაფის კლდიდან მოწინააღმდეგედა ცერა თითის სიმსხო და ის იყო მთელი სოფლისთვის, იმ აღმართიდან წყლის ზიდვის გასაჭირზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რაფიელი უთენია მიდიოდა წყალზე, თუმცა არაფერი განსხვავება არ იყო დღესა და ღამეს შორის. აქ მუდმივად ცოცხალი რიგი იყო. ზოგჯერ გადაუდებელი საქმის პატრონების ჭურჭლის რიგი იდგა და ნვალობდა ქვირის ოჯახი სასმელი წყლის მიტანაზე. ესეც მოსწრებული ბიჭის საზრუნავი იყო, ერთხელ, როცა რაფიელს რიგმა უნია, ვედრო მისწია, წყალს მიუშარჯავა და თვითონაც იქვე დადგა. ამ დროს მოვიდა არჩილა. იგი ერთი ახმაბი, აყვია და თავზედი კაცი იყო სოფელში. ყველას ზევიდან დაჰყურებდა. მისი ამ თვისების გამო სოფელმა ზედმეტი სახელი მოუძებნა და ღორარჩილად მონათლა. ახლაც დიდი ამბით მიუახლოვდა გამომდინარე წყალს, არავისთვის არაფერი უკითხავს, შედგმულ წყლიან ვედროს დასწვდა, მოიქნია, ისროლა და თავისი მიდგა. ქალები ერთბაშად ნამოიშალნენ, – ის ვედრო ამ ბიჭისაა, დილიდან როგორა, ეგ რა ჰქენი? ღორარჩილამ ბიჭისაკენ მედიდურად გაიხედა, – მაგის დედაცო! – დაიგინა.

ბიჭი აენთო, ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა, ქალების თანაგრძობით გულმინცემულმა ღორარჩილას შეგინებას ისეთივე შეგინებით უპასუხა. – ეს როგორ გამიბედაო? – ჭაკულს ხელი დაავლო და ბიჭს მოუღერა. ბიჭმა ინსტიქტურად ხელები ზე ასწია და თავი დაიფარა. ღორარჩილამ ჭაკული პირდაპირ გადასცხო, ბიჭი ძირს დაეცა. ავიშვიდნენ ქალები, ბიჭს ეცნენ და ნამოაყენეს. მან ნამოთრეულ მარჯვენას მარცხენა შეაშველა, მაგრამ ძვრა ვერ

უყო. მწვავე ტკივილმა შესძრა ძალაგამოცლილი, მკლავგადატეხილი ბიჭი. ქალებმა სახლის კარამდე რომ მიიყვანეს, შესვლა ვეღარ გაბედეს, ქვირის ტანჯვის ყურეზას მოერიდნენ. მკლავგადატეხილი ბიჭი ორ თვეზე მეტხანს მინური ქოხიდან არ გამოსულა. რაფიელს იმდენად ტკივილი არ აწუხებდა, რამდენადაც შეურაცხყოფილის საქციელი. როგორ შეიძლება არსებობდნენ ასეთი ადამიანები და რომ არსებობენ, როგორ, რანაირად შეიძლება აღუდგე მათ. მისგან თავდაღწევის სრულყოფილ გზად შურისძიება კი არა, ცოდნა და ამ გზით ნამდვილ კაცად ჩამოყალიბების სურვილი მიეძალა.

როგორ მიეღწია ამისთვის? ჯერ ერთი, არაფერი საშუალება არ ჰქონდა ეფიქრა სწავლაზე. ეს მისთვის მიუწვდომელი ოცნება იყო. მეორე – მცირეწლოვანი დაძმებისა და ახალგაზრდა ქვირის დედისადმი უყურადღებობა მისგან ლალატი იქნებოდა და არცერთ შემთხვევაში თავს არ აპატიებდა. პირველი რიგის ამოცანა ის იყო, რომ გამოეჩინა ოჯახისადმი მზრუნველობა, ტვირთი, რომელიც მხრებს უმძიმებდა დედას, შეემსუბუქებინა ოჯახისათვის და ლუკმა-პური მოეძია საკუთარი გარჯით. რაფიელს ეს შთანაფიქრი ცხოვრების დანაწილის პირველ ნაბიჯებად მიაჩნდა. ამას საკუთარი თავის გარდა არავის უმხელდა და ცდილობდა განეხორციელებინა.

გაზაფხული ძალას იკრებდა. ობოლი ბიჭი მომავლის ფიქრით გადიოდა სოფლის სამენახიროზე, უფროსებს უსმენდა, მათ ნათქვამს აანალიზებდა, საუბარში არ ერეოდა, აკვირდებოდა – ვინ რით, როგორ იწყებდა მომავალ საქმეს, რის გაკეთება ენადათ. მხედველობიდან არ რჩებოდა იმ ოჯახის ცხოვრების წესი, რითაც სხვებზე უკეთესად მოიძიეს არსებობის საშუალება, რით შეძლეს ეს, რა გზით? ამ კითხვებზე პასუხს უფროსი თაობის ადამიანების მოსმენით და საკუთარი დაკვირვებით მიაგნო. თუ კი ვინმეს რამე აქვს, შრომით აქვს, შრომა და მხოლოდ თავდაუღალავი შრომა იძლევა ყველაფერს. ასეთი შრომისთვის განეწყო რაფიელი, ასეთი შრომისთვის შეეშადა და ხალხში გავიდა.

სოფელი გაზაფხულის სამზადისში იყო, რაფიელმა მეფილღვეს აუარ-ჩაუარა, უფროსების საუბარს ყური დაუგდო. ყველაფერი თავისად გადაასარისხა, გადაწონა, გადაალავა და გონებადატვირთული მოსალამოვებულზე სახლში რომ დაბრუნდა, დედას უთხრა: დედა, ჩვენ წელს ყანებს ვერ დავეთსავთ, ხარ-ურემიც ძნელი გვაქვს და არც მეორე. წელს სადმე გარე სამუშაოზე წავალ. რაფიელი ერთხანს მდუმარედ მიაჩერდა დედას. დედა მწარე ფიქრებს მოეცვა. რაფიელმა მას ფიქრებისაგან გამორკვევა

ნათელა ცისკარაძე



არ აცალა და გაუბედა: მოჯამაგირედ წავალ! დედა შეირხა, მეტრიალად გამომცდელად, სხვისი თვალებით შეხედა, არ ეთმობოდა შვილი სხვის ხელის შემყურედ, მიძიმე სამუშაოსთვის. – მოჯამაგირედ წახვალ?! ვისთან ფიქრობ? – გაოგნებულმა სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. გიოს აქვს ყველაზე მეტი სახნავიც და ხარ-უღელიც, მათთან მივალ.

– არა, მაგათთან არა! თუ წასვლა მოჯამაგირედ, წასვლას აფინაში გირჩევ, მოსიძებთან. ისინი გვენათესავეებიან კიდევ. დაგზოგვენ, ყურადღებასაც არ მოგაკლებენ. რაფიელი არჩევანში არ შესულა. მოჯამაგირეობის წლები შეძლებულთა ოჯახში მარტო მათი სამუშაოს შესასრულებლად კი არა, თავისად, თავისებურად, თავისი მიზნების განსახორციელებლადაც უნდოდა. საბედამ, სხვა გზა რომ აღარ ჩანდა, მოსიძებებს შვილის განზრახვა შეუთვალა. მათგან დადებითი პასუხი მოვიდა. დედისთვის შვილის მოჯამაგირეობა უმძიმესი ასატანი იყო, მაგრამ რა ექნა, სხვა გზა ედია?

წასვლის დღეები ახლოვდებოდა. საბედამ შვილს უთხრა: შვილო, წადი სოლოონთ ბესარიონთან და უთხარი: დედამ გთხოვა, ღორის ტყავის ერთი ზოლიდან ქალამნები ამოგისხას, შემოდგომაზე გადაგიხდი-თქო, ბესომ ორი წყვილი ფეხზე კარგად მორგებული ქალამანი გამოიტანა, – შემოდგომამდე არ გაგიცვდებო და დააბარა: დედა შენს უთხარი, მიჩუქნიაო. საბედამ ეს რომ მოისმინა, აცრემლებული თვალები შვილს აარიდა, ცრემლი გულში ჩაიბრუნა და ჩაილაპარაკა: ეს მამაშენის კაი კაცობაა, რამდენჯერაც ბესოს მისთვის რამე უთხოვია, არასოდეს უარი არ უთქვამს...

ნათელა ცისკარაძე

## სკორტი



მიმდინარე წლის 27-26 ივნისს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ლია ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც რესპუბლიკის 12 ქალაქისა და მუნიციპალიტეტების გუნდებს შორის მონაწილეობას ასპინძის მუნიციპალიტეტის ა. ა. იპ-ის გაერთიანებული კლუბი იღებდა მონაწილეობას.

ასპინძელი სპორტსმენების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა ამჯერადაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, კერძოდ, 3000 მეტრ რბენაში 2004 წელს დაბადებულთა შორის ტოლომის საჯარო სკოლოს მოსწავლემ ლუკა მელიქიძემ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო 2005 წელს დაბადებულთა შორის 1500 მეტრზე რბენაში – გიორგი ნადირაძე ფინალში გავიდა და პრიზიორი გახდა.

# ორი ფილოსოფოსი

ორი მოხუცი, დიდი ხნის უნახავი ფილოსოფოსი, შეხვდა ერთმანეთს.

- როგორ ხარ? – კითხა ერთმა.
- ვარ და არცა ვარ!
- ეს როგორ გავიგო?
- ყოფით მინას ვეკუთვნი, აზროვნებით – ლმერთს!
- რომელი გზით მოხვედი?
- იმ გზით, რომელ გზასაც განვლილი ჩემი ცხოვრების კვალი ვერ დავატყე!
- საიდან მოხვედი და სად მიდიხარ?
- არსაიდან მოვდივარ და მარადისობისაკენ კი მივდივარ!
- შვილები თუ გყავს?
- მყვანან და არც მყვანან!
- ეს როგორ გავიგოთ?
- მანამ ბავშვები იყვნენ და ვზრდიდი, ჩემები იყვნენ, ახლა დაოჯახებულელებს აღარ ვასსოვარ!
- ქვეყნად ბოროტება მეტია თუ სიკეთე?
- ბოროტება, რადგან ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ბრძოლაა არსებობისთვის და ეს ბრძოლა უფრო მეტ ბოროტებას წარმოშობს, ვიდრე სიკეთეს!

- ვინ შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე დიდ ბოროტმოქმედად?
- ქვეყნის საჭესთან მდგომი ყველა ის დიდი ადამიანი, რომელიც ხალხის და ქვეყნის სახელით უსამართლო ომს იწყებს.
- რისთვის იბადებიან ადამიანები?
- ტანჯვისა და სიამოვნებისათვის!
- რითი იხვეჭენ სახელს ადამიანები?
- გონებითა და სისხლისღვრით!
- მე და შენ ვინა ვართ?
- მოაზროვნე ატომის უმცირესი ნაწილაკები, რომლებსაც ადამიანები გვქვია!
- როგორია სამყარო?
- უსასრულო სივრცე, რომელთა შორის სიბნელისა და სინათლის მიღმა უთვალავი ვარსკვლავები იმზირებიან!
- როგორ შეიძლება გასპეტაკდეს ადამიანის სული?
- თუ ღვთისგან ნაბოძებ ათ მცნებას შეასრულებს!
- რა არის სინდისი?
- ადამიანის სულის მალამო, რომელიც ბოროტებას თრგუნავს!
- რა იქნებოდა სიცოცხლე სიკვდილის გარეშე?
- ცხოვრება გაუსაძლისი იქნებოდა!
- რითი ემსგავსება ადამიანი ღმერთს?
- გარეგნულად, ხოლო სულიერად მასში ყველაზე ცოცხალი არსების ინსტიქტი ბუდობს!
- რომელი უფრო დიდი ფილოსოფოსი იყო – პლატონი თუ არისტოტელე?
- ორივე ღვთისწორნი იყვნენ!
- ვინ უნდა მართავდეს სახელმწიფოს?
- ფილოსოფოსი!
- როდის კარგავს ადამიანი რწმენას ღვთისადმი?
- როცა მაძლარი ღვთისმსახური მშვიერ მრევლს მოძღვრავს და მოთმინებისაკენ მოუწოდებს!
- რა არის სილამაზე?
- ყველაფერი ის, რაც ადამიანის სულს ატკობს!
- კიდევ შევხვდებით ერთმანეთს ოდესმე?
- თუ სიკვდილმა არ გვინია!

როპერტ პერიძე

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია